პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 24 (13145) | შაბათი, 30 იანვარი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

## შვიდწლედი, 1964 წელი

*ჩვენო ძვირფასო მკითხველო!*

რა გავაკეთეთ 1964 წელს, როგორ ვითარდებოდა სახალხო მეურნეობა, რა მიღწევები გვაქვს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებაში — ყველა ეს მოგაცემი გამოქვეყნდა დღეს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში გასული წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

შვიდწლიანი პროგრამა წარმატებით სრულდება. მარტო ექვს წელიწადში დავალების გადაჭარბებით გამოშვებულია თითქმის 42 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

ქვემოთ მოგვყავს 1964 წლის ზოგიერთი შედეგი. ჩაუფიქრდით მათ, ეს ჩვენი ზრდისა და წინსვლის ციფრებია.






# შვიდწლედის მძლავრი ნაბიჯები

## სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

**საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ზრდას და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას გასულ 1964 წელს — შვიდწლედის მეექვსე წელს — ახასიათებს შემდეგი მონაცემები:**

| | 1964 წელი პროცენტობით 1963 წელთან შედარებით |
|---|---|
| სიზოგადოებრივი პროდუქტი (მატერიალური წარმოების ყველა დარგის პროდუქცია) | 107 |
| ეროვნული შემოსავლის წარმოება | 107-ზე მეტი |
| მთელი მრეწველობის პროდუქცია | 107,1 |
| სოფლის მეურნეობის პროდუქცია | 112 |
| ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა | 109 |
| ძირითადი ფონდების ამოქმედება სახალხო მეურნეობაში | 106 |
| საცალო საქონელბრუნვა | 105 |
| სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა | 105 |
| მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა სახალხო მეურნეობაში | 104 |
| შრომის ნაყოფიერება: მრეწველობაში | 104 |
| მშენებლობაში | 106 |
| კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში | 118 |
| თვითღირებულების შემცირება მრეწველობაში | 1,3 პროცენტით |
| მოგება სახალხო მეურნეობაში | 112 |
| მოსახლეობის რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით | 104 |

მონაცემები სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით წლიური გეგმის შესრულების შესახებ მოყვანილია ქვემოთ.

## I. მრეწველობა

**წლიური გეგმა** წარმოების საერთო მოცულობისა და მეტი წილი უმნიშვნელოვანესი ნაწარმის მიხედვით **გადაჭარბებით შესრულებულია** მთლიანად სსრ კავშირში, ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების მიერ, გარდა უამრავი მხარის (გეგმა შესრულებულია 96 პროცენტით), დასავლეთ ყაზახეთის (98 პროცენტით) და ჩრდილოეთ კავკასიის (99,4 პროცენტით) სახალხო მეურნეობის საბჭოებისა.

**მრეწველობის ცალკეული დარგების** საერთო პროდუქცია წინა წელთან შედარებით გადიდდა:

| | |
|---|---|
| ელექტროენერგია და თბოენერგია | 12 პროცენტით |
| ნავთობის მრეწველობა | 7 |
| ქვანახშირი და ფერადი მეტალურგია | 8 |
| ქიმიური მრეწველობა | 15 |
| მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება | 9 |
| საშენ მასალათა მრეწველობა | 8 |
| სატყეო, ხისდასამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობა | 6 |
| მსუბუქი მრეწველობა | 3 |
| კვების მრეწველობა | 2 |
| კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წარმოება | 9 |

**განვლილ ექვს წელიწადში შვიდწლედის ამ პერიოდის დავალებათა გადაჭარბებით წარმოებულია დაახლოებით 42 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.**

ცალკეულ სახეობათა პროდუქციის გამოშვება შემდეგნაირად შეიცვალა:

| | წარმოებულია 1964 წელს | 1964 წელი პროცენტებით 1963 წელთან შედარებით |
|---|---|---|
| ელექტროენერგია — მილიარდი კილოვატ-საათი | 459 | 111 |
| ნავთობი — მილიონი ტონა | 224 | 109 |
| გაზი — მილიარდი კუბური მეტრი | 110 | 120 |
| ქვანახშირი — მილიონი ტონა | 554 | 104 |
| აქედან საკოქსავი ქვანახშირი | 134 | 105 |
| თუჯი — მილიონი ტონა | 62,4 | 106 |
| ფოლადი — მილიონი ტონა | 85,0 | 106 |
| მზა ნაგლინი — მილიონი ტონა | 57,4 | 106 |
| ფოლადის მილები — მილიონი მეტრი | 1273 | 102 |
| რკინის მადანი — მილიონი ტონა | 146 | 106 |
| მინერალური სასუქები — მილიონი ტონა | 25,6 | 128 |
| მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი (პირობითი ერთეულებით) — ათასი ტონა | 160 | 135 |
| სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები — ათასი ტონა | 720 | 122 |
| ქიმიური ბოჭკოები — ათასი ტონა | 361 | 117 |
| კოუსტიკური სოდა — ათასი ტონა | 1153 | 110 |
| კალცინირებული სოდა — მილიონი ტონა | 2,7 | 108 |
| გოგირდმჟავა — ათასი ტონა | 7647 | 111 |
| ავტომობილის საბურავები — მილიონი ცალი | 24,4 | 108 |
| ტურბინები — მილიონი კილოვატი | 13,2 | 111 |
| ტურბინის გენერატორები — მილიონი კილოვატი | 12,8 | 108 |
| ცვლადი დენის ელექტროძრავები — მილიონი კილოვატი | 28,7 | 104 |
| ლითონსაჭრელი ჩარხები — ათასი ცალი | 184 | 101 |
| მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზები — კომპლექტი | 222 | 100,5 |
| სამეედლო-საწნეხი მანქანები — ათასი ცალი | 34,2 | 100 |
| ხელსაწყოები — მილიარდი მანეთი | 1,8 | 105 |
| მეტალურგიული მოწყობილობა — ათასი ტონა | 232 | 98 |
| ნავთობაპარატურა — ათასი ტონა | 140 | 122 |
| ქიმიური მოწყობილობა — მილიონი მანეთი | 342 | 119 |
| საქსოვი დაზგები — ათასი ცალი | 24,6 | 102 |
| სამაგისტრალო თბომავლები — სექცია | 1484 | 98 |
| სამაგისტრალო ელმავლები — ცალი | 638 | 99,2 |
| ავტომობილები — ათასი ცალი | 603 | 103 |
| აქედან: | | |
| სატვირთო ავტომობილები და ავტობუსები | 418 | 101 |
| მსუბუქი ავტომობილები | 185 | 107 |
| ტრაქტორები — ათასი ცალი | 329 | 101 |
| სასოფლო-სამეურნეო მანქანები — სულ — მილიონი მანეთი | 1391 | 101 |
| ტრაქტორის გუთნები — ათასი ცალი | 178 | 100 |
| ტრაქტორის სათესი მანქანები — ათასი ცალი | 235 | 117 |
| ტრაქტორის კულტივატორები — ათასი ცალი | 193 | 124 |
| ტრაქტორის სათიბი მანქანები — ათასი ცალი | 108 | 104 |
| კომბაინები — ათასი ცალი: | | |
| მარცვლეულის ასაღები | 83,6 | 101 |
| ჭარხლის ასაღები | 18,3 | 115 |
| სიოსოსის ასაღები | 47,0 | 81 |
| ბამბის საკრეფი მანქანები — ათასი ცალი | 7,0 | 99 |
| მწვრილად სამკელი მანქანები — ათასი ცალი | 83,9 | 93 |
| მარცვალსაწმენდი მანქანები — ათასი ცალი | 24,2 | 171 |
| ექსკავატორები — ათასი ცალი | 20,2 | 113 |
| სამასალე მერქნის გამოზიდვა (კოლმეურნეობების მიერ გამოზიდულის გარდა) — მილიონი კუბური მეტრი | 260 | 103 |
| ქაღალდი — მილიონი ტონა | 3,0 | 106 |
| ცემენტი — მილიონი ტონა | 64,9 | 106 |
| ასაწყობი რკინაბეტონი — მილიონი კუბური მეტრი | 50 | 109 |
| საშენი აგური (კოლმეურნეობების მიერ წარმოებულის გარდა) — მილიარდი ცალი | 33 | 100,4 |
| შიფერი — მილიარდი პირობითი ფილა | 4,0 | 105 |
| რბილი სახურავი — მილიონი კვადრატული მეტრი | 995 | 109 |
| ფანჯრის მინა — მილიონი კვადრატული მეტრი | 186 | 110 |
| ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი: | | |
| ბამბისა | 5368 | 106 |
| შალისა | 471 | 100,2 |
| სელისა | 544 | 107 |
| აბრეშუმისა | 827 | 103 |
| შეკერილი ნაწარმი — მილიარდი მანეთი | 9,2 | 97 |
| ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი | 640 | 116 |
| ზიდა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი | 153 | 116 |
| ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი | 474 | 103 |
| საათები — მილიონი ცალი | 28,7 | 106 |
| რადიომიმღებები და რადიოლები — მილიონი ცალი | 4,8 | 99,2 |
| ტელევიზორები — მილიონი ცალი | 2,9 | 118 |
| მაცივრები — ათასი ცალი | 1134 | 125 |
| სარეცხი მანქანები — მილიონი ცალი | 2,0 | 125 |
| მოტოციკლები და მოტოროლერები — ათასი ცალი | 687 | 106 |
| ველოსიპედები და მოტოველოსიპედები — მილიონი ცალი | 3,6 | 108 |
| ავეჯი — მილიარდი მანეთისა | 1,7 | 106 |
| ხორცი — სულ — მილიონი ტონა | 8,1 | 80 |
| აქედან სამრეწველო გამომუშავება | 4,2 | 77 |
| ძეხვეული — მილიონი ტონა | 1,5 | 100,4 |
| თევზი და ზღვის პროდუქტები — მილიონი ტონა | 5,2 | 111 |
| ერბო და კარაქი — სულ — ათასი ტონა | 952 | 108 |
| აქედან კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინწარმოების გარდა | 841 | 109 |
| მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით (რძე, ხაჭო, კეფირი, მაწონი, ნაღები, არაყანი, ხაჭოს კვერი და სხვ.*) — მილიონი ტონა | 10,4 | 109 |
| ყველი*) — ათასი ტონა | 256 | 118 |
| ფეხნილი შაქარი — სულ — მილიონი ტონა | 8,2 | 132 |
| აქედან შაქრის ჭარხლისა | 7,0 | 127 |
| საკონდიტრო საქონელი — მილიონი ტონა | 2,3 | 112 |
| მცენარეული ზეთი*) მილიონი ტონა | 2,2 | 102 |
| კონსერვები — მილიარდი ქილა | 7,4 | 114 |
| საპონი (40 პროცენტი ცხიმოვანი მჟავეების შემცველობის საპონზე გადაანგარიშებით) — მილიონი ტონა | 1,9 | 104 |

გადიდდა ბევრი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოება და კერძოდ, **ფერადი ლითონების, ნავთობგადამუშავებისა და ნავთობქიმიის პროდუქციის** წარმოება.

თუმცა წარმოება გაიზარდა, მაგრამ რამდენადმე ვერ შესრულდა ტურბინების, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზების, ქაღალდის, ასაწყობი რკინაბეტონის, საშენი აგურის, მაცივრების გამოშვების გეგმა. ვერ შესრულდა ხორცის წარმოების გეგმა.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის **კონსტრუირებული და დამზადებულია** უმნიშვნელოვანესი მანქანების, მექანიზმების, აპარატებისა და სხვა მოწყობილობის 3 ათასზე მეტი ახალი ნიმუში და დაახლოებით 1.200 სხვადასხვა ახალი ტიპის ხელსაწყო წარმოების კონტროლისა და ავტომატიზაციისათვის. ამასთანავე **წარმოებიდან მოიხსნა** დაახლოებით 400 სახელწოდების მანქანები, მოწყობილობა და მოძველებული კონსტრუქციის ხელსაწყოები.

მანქანასამშენებლო და ლითონდასამუშავებელ საწარმოებში **მოდერნიზებულია** 55 ათას ერთეულზე მეტი მოწყობილობა. ათეულათასობით ერთეული ტექნოლოგიური მოწყობილობა მოდერნიზებულია მრეწველობის სხვა დარგებშიც.

წლის განმავლობაში **შემოვიდა 4 მილიონზე მეტი და სახალხო მეურნეობაში დაინერგა 2 მილიონ 600 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც ერთ წელზე გაანგარიშებით სულ ცოტა 1 მილიარდ 600 მილიონ მანეთი ეკონომიას უზრუნველყოფს.**

ამასთანავე გასულ წელს ვერ შესრულდა მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოთა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ბევრი საგეგმო დავალება. ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ გამოყენებული მეცნიერების მიღწევები და ახალი ტექნიკის საშუალებანი პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ასორტიმენტის გასაფართოებლად.

**შესრულდა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების წლიური გეგმა.** სამრეწველო პროდუქციის მატების დაახლოებით ორი მესამედი მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდებით. **მთელი სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულმა ზეგეგმიმა ეკონომიამ წლის მანძილზე 700 მილიონ მანეთს გადააჭარბა.**

მთლიანად მრეწველობაში წარმოების წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად ბევრი საწარმო ჯერ კიდევ ცუდად იყენებს საწარმოო სიმძლავრეებს, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში ამუშავებულ სიმძლავრეებს, ვერ ასრულებს პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, დაგროვებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ვიგეგმს, სათანადოდ ვერ აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

## II. სოფლის მეურნეობა

გასულ წელს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა **გაადიდეს მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოება.** ამას ხელი შეუწყო ამინდის პირობებმაც, რომელიც ჩვენი ქვეყნის მეტ წილ რაიონებში მნიშვნელოვნად უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე რამდენიმე წინა წელს.

მიწათმოქმედების პროდუქტების **საერთო მოსავალი** გადიდდა.

შესრულდა მარცვლის, ჭარხლის, კარტოფილის, ბამბისა და მთელი რიგი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამზადების გეგმები.

გასულ წელს და განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში მეცხოველეობის მდგომარეობაზე მძიმე გავლენა მოახდინა 1963 წლის მოუსავლიანობამ, რის შედეგადაც ვერ შესრულდა ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის დამზადების გეგმები.

*) კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინწარმოების გარდა.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

## შვიდწლედი, 1964 წელი

□ **224 მილიონი ტონა** — ამდენი ნავთობი მოგვცა ჩვენმა სარეწებმა. შვიდწლედის დასაწყისთან შედარებით „შავი ოქროს“ მოპოვება 1,8-ჯერ გადიდდა.

□ **85 მილიონი ტონა** — ამდენი ფოლადი გამოადნეს მეტალურგებმა. 1963 წელთან შედარებით ფოლადის წარმოება 5 მილიონი ტონით გაიზარდა. სსრ კავშირში ერთი მარტენის ღუმელის საშუალო წლიური მწარმოებლობა 25 პროცენტით მეტია, ვიდრე ამერიკაში.

□ **25,6 მილიონი ტონა** — ამდენი მინერალური სასუქები გამოუშვეს ჩვენი ქვეყნის „ნაყოფიერების ფაბრიკებმა“, როგორც საკადესის კორესპონდენტს განუცხადა ქიმიური მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ სსრ კავშირის მინისტრმა ლ. ა. კოსტანდოვმა, ამჟამად საბჭოთა კავშირში პრაქტიკულად აწარმოებენ ყველაფერს, რასაც იძლევა ყოველი დიდადგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის ქიმია.

□ **342 მილიონი მანეთი** — ამ თანხის ქიმიური მოწყობილობაა გამოშვებული ერთ წელიწადში. ქიმიური მანქანათმშენებლობა სწრაფად ზრდის ტემპს, რათა დაკმაყოფილოს მინერალური სასუქების, პლასტიკური მასების, ქიმიური ბოჭკოების მშენებარე ქარხნების მზარდი შეკვეთები ტექნიკაზე.

□ **329 ათასი ტრაქტორი** — გამოუშვეს ერთ წელიწადში ჩვენმა ქარხნებმა. განუწყვეტლივ იზრდება ტექნიკის გამოშვება სოფლის მეურნეობისათვის.

## საპარლამენტთაშორისო კავშირის კომისიის სხდომა

**მოსკოვი,** 28 იანვარი. (საკადესი). 29 იანვარს ყენევაში დაიწყება საპარლამენტთაშორისო კავშირის სპეციალური კომისიის სხდომა. ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად დღეს მოსკოვიდან გაემგზავრა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის წევრი, საპარლამენტთაშორისო კავშირის საპარლამენტო ა. იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ა. თ. გორკინი.

კომისიის წევრები, განუცხადა საკადესის კორესპონდენტს ა. თ. გორკინმა, სხვა საკითხებთან ერთად განიხილავენ საკითხს რომ გამოიცეს წიგნი „პარლამენტები“.

ამ ნაშრომში გაშუქდება საპარლამენტთაშორისო კავშირის ორმოცდაათზე მეტი წევრი სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტის სტრუქტურა და საქმიანობა. ცალკეული თავები მიეძღვნება ამ სახელმწიფოთა საარჩევნო სისტემას.

## შვიდწლედი — ვადამდე!

**მოსკოვი,** 28 იანვარი. (საკადესის კორ.). ვადაზე ნახევარი წლით ადრე დავამთავროთ შვიდწლედის დავალება — ასეთი ამოცანა დაისახეს მოსკოვის ოლქის მრეწველობის მშრომელებმა. დღეს ასეთი ვალდებულება იკისრეს დედაქალაქის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკთა აქტივის კრებაზე. გადაწყვეტილია 1965 წლის მთლიანი პროდუქციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა შეასრულონ 27 დეკემბრისათვის.

ოლქის საწარმოებში ფართოდ გავრცელდება მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობა. დასახულია 1965 წელს სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ორგანიზაციებთან თანამეგობრობით მიაღწიონ საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეს 50 უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის წარმოებაში.

ამ ვალდებულებათა შესრულება ხელს შეუწყობს ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესებას. გათვალისწინებულია შვიდწლედის ბოლო წელს შეიქმნას 115 კომპლექსურ-მექანიზებული საწარმო, საამქრო და უბანი, დაინერგოს 188 ავტომატური, ნახევრადავტომატური, როტორული მექანიზებული ნაკადური და კონვეიერული ხაზები, დაიდგას ექვსი ათასზე მეტი დიდმწარმოებლური ჩარხი, მანქანა და მოწყობილობა.

## ამერიკის პრეზიდენტის წერილი კონგრესისადმი

**ვაშინგტონი,** 29 იანვარი. (საკადესი). პრეზიდენტმა ჯონსონმა გუშინ კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სახავს რეკომენდაციებს შეტანონ მთელი რიგი შესწორებანი ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში. რეკომენდაციები ეხება პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის რწმუნებათა მონაცვლეობის უზრუნველყოფას, თუ ისინი ვეღარ შეასრულებენ თავიანთ ფუნქციებს.

რეკომენდაციები ითვალისწინებს აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული პრეზიდენტის არჩევნების სისტემის რეფორმას. ამ სისტემის პირობებში ამომრჩევლები პრეზიდენტის არჩევნების დროს ხმას აძლევენ არა პრეზიდენტობის კანდიდატს, არამედ „ამრჩევებს“, რომლებიც შემდეგ პრეზიდენტს ირჩევენ. ამერიკის არჩევნების ისტორიაში ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა „ამრჩევებს“ ხმა მიუცია ამომრჩეველთა ნების საწინააღმდეგოდ.

კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანა ერთობ ხანგრძლივი პროცესია. დასახული შესწორებანი უნდა მოიწონონ კონგრესის სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ, ხოლო შემდეგ ყველა შტატის სულ ცოტა სამმა მეოთხედმა.

## პოლიტიკის მონაცვლეობა

**კატმანდუ,** 29 იანვარი. (საკადესი). „ნეპალის მთავრობაში მომხდარი ცვლილებები არ გულისხმობს რაიმე ცვლილებას ამ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში. მოხდა მხოლოდ პირთა შეცვლა მთავრობაში, პოლიტიკა კი წინანდელი რჩება, — განაცხადა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში ნეპალის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ს. ბ. თხაპამ. — ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, რომელსაც ყოველთვის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხასიათი ჰქონდა, განვითარდება და განმტკიცდება“, — დასძინა მან.

## მკვლელობა საიგონში

*ნიუ-იორკი, 29 იანვარი. (საკადესი).* დღეს განთიადისას ჯალათთა ტყვიებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს კიდევ ერთ სამხრეთვიეტნამელ პატრიოტს ლე ვან ნგუენს. იგი დახვრიტეს საიგონის ცენტრალური ბაზრის მახლობლად „კომუნისტური ტერორისტული საქმიანობის“ ბრალდების გამო. ამასთან ხელისუფლებმა განახორციელეს საგანგებო ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო რაიმე „არეულობა“. ბაზრის მთელ რაიონს ალყა შემოარტყეს ჯარებმა და პოლიციამ. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ლე ვან ნგუენის სიკვდილით დასჯა დიქტატორ ქნანის ახალი მთავრობის ერთ-ერთი პირველი აქტი იყო.

## ატომურ-რაკეტული პროგრამა

**ბონი.** (საკადესი). უახლოეს წლებში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაფართოვდება ატომურ კვლევათა მოცულობა, როგორც აღნიშნულია ბონის მეცნიერულ კვლევათა მინისტრის ლენციის მოხსენებაში, საუბაოს „ატომური კვლევის და ატომური ტექნიკის“ დარგში ახლა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს დასავლეთ გერმანიის „მეცნიერულ პროგრამებში“. თუ 1963 წელს ამ მიზნებს მოხმარდა 335.4 მილიონი მარკა, 1966-68 წლებში, როგორც ლენციის მოხსენებიდან ჩანს, დასახულია „ატომური კვლევის“ მიზნებისათვის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაიხარჯოს ორ მილიარდ მარკაზე მეტი.

ძალზე გადიდდება ასიგნება „კოსმოსური კვლევისათვის“, რომელსაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პირველ რიგში უკავშირებენ ახალი რაკეტების შექმნის გეგმებს. თუ 1963 წელს „კოსმოსურ კვლევას“ მოხმარდა სულ ცოტა 50 მილიონი მარკა, 1966-68 წლებში ამ მიზნებისთვის გამოყოფილი ასიგნება შეადგენს 1,16 მილიარდ მარკას.

## ბრძოლა გამარჯვებამდე

**ზანზიბარი,** 29 იანვარი. საკადესის კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო იტყობინება:

ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადწყვეტილი სიცოცხლე შევწიროთ ბრძოლას კონგოს განთავისუფლებისათვის, ისევე როგორც შესწირა პატრის ლუმუმბამ, განაცხადა გუშინ ზანზიბარში კონგოს ეროვნულ - განმათავისუფლებელი ძალების ერთ-ერთმა ლიდერმა გასტონ სუმიალომ.

გ. სუმიალომ ხაზი გაუსვა, რომ კონგოს „მთავრობა“, რომელმაც ამჟამად ლეოპოლდვილში მოიკალათა, უკანონოა, ჩომბე კი იმპერიალისტთა მარionეტია.

ჯანყიებულთა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ახლა კონგოს ბევრ რაიონში ახალი ძალით გაჩაღდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების შეიარაღებული ბრძოლა.

მათვე დაადასტურეს, რომ მოლაპარაკება კონგოს პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ შეიძლება დაიწყოს მხოლოდ იმ პირობით, თუ კონგოდან გაიყვანენ ყველა დაქირავებულს, თუ ჩომბეს მსგავსი ადამიანები გაეცლებიან კონგოს და თუ გაათავისუფლებენ ყველა პოლიტიკურ პატიმარს.

ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა კარუმემ მებრძოლი კონგოს წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი მთლიანად მათ მხარეზეა.

ზანზიბარიდან გ. სუმიალო და სხვა კონგოელი პატრიოტები გაემგზავრნენ კენიის დედაქალაქ ნაირობში, სადაც 29 იანვარს იხსნება აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის კონგოს საკითხთა სპეციალური კომისიის საგანგებო სესია.

## დახმარებას არ გაუწევენ

ლიმა, 29 იანვარი. (საკადესი). პერუ დახმარებას არ გაუწევს შეერთებულ შტატებს ავანტურაში, რომელიც მათ სამხრეთ ვიეტნამში წამოიწყეს. ეს გამოირკვა კომუნიკედან, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ამერიკის ელჩმა ლიმაში ანაოფიციალური საუბრის დროს შესთავაზა პერუს მთავრობას მონაწილეობა მიიღოს „სამოქალაქო თანამშრომლობაში“ ვიეტნამში. პერუს მთავრობის უარი კომუნიკეში ახსნილია იმით, რომ სამხრეთი ვიეტნამი საომარ მოქმედებათა ასპარეზია.



# ასე ბჭობდნენ ბაგალეთელები

მართალია, ქართლის მთიანეთში ცივა, ხანდახან თოვს კიდეც, გაყინულია ბაზალეთის ტბაც, მაგრამ ამის მიუხედავად, ექვსასზე მეტი ქალი და კაცი, ახალგაზრდა და მოხუცი ხალისით მოვიდა ვრცელ დარბაზში, სადაც დიდი გულისყურით უსმენდნენ ბაზალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ოთარ მაგულაშვილის საანგარიშო მოხსენებას.

ყანამ ბაზალეთში მივიდოდი, დავათვალიერე დუშეთის ცენტრალურ მოედანზე მოწინავეთა დაფა, რომელსაც სხვებთან ერთად ამ კოლმეურნეობის ბევრი მოწინავის პორტრეტები ამშვენებს. ახლა ეს ადამიანები დარბაზში ისხდნენ და მათ სახეებზე კმაყოფილების ღიმილს ვხედავდი.

ამ უამრავ ხალხში იშვიათად თუ ნახავდით ცუდი განწყობილების ადამიანს, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ხანდახან სირცხვილის ალმური ასდიოდათ.

ოთარ მამულაშვილი დინჯად ჩამოთვლიდა კოლმეურნეობის წარმატებებსა და ნაკლოვანებებს. ეს იყო მშვენიერი თხრობა იმაზე, თუ რა ხასწაულების მოხდენა შეუძლია კოლექტიურ შრომას, როცა მას სათავეში უდგას უნარიანი ორგანიზატორი, როგორ მაღლდებიან სულიერად ჩვენი ადამიანები, რომლებიც გამხვავალული არიან ერთი ხურვილით — თავიანთი წვლილი შეიტანონ წარმოების მკვეთრად ამაღლების საქმეში.

— შარშან, — თქვა მომხსენებელმა, — დიდად გაიზარდა ფულადი შემოსავალი, კოლმეურნეობის ხალაროს 407 ათას მანეთზე მეტს შეემატა. გაიზარდა მარცვლეულის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების წარმოება. ხახელმწიფოს მივყიდეთ 275 ტონით მეტი ხორბალი, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, მნიშვნელოვნად გაიზარდა განუყოფელი ფონდები, გადაკარბებით შევასრულეთ მეცხოველეობის სულადობის გეგმები.

ხასიხარულოა აღინიშნოს ჩვენი მხვნელ-მთესველებისა და მექანიზატორების დიდი წარმატება. შარშან საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 23 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 16 ცენტნერისა, კარგად იმუშავეს მებოსტნეებმა, რომლებმაც საშუალოდ ჰექტარზე 142 ცენტნერი ბოსტნეული მოიყვანეს, გეგმა კი 95 ცენტნერს ითვალისწინებდა.

მაგრამ მარტო პროდუქციის წარმოება არ კმარა, საჭიროა მისი გაიაფებაც. ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, რამაც კარგი შედეგი მოგვცა. საგრძნობლად შემცირდა მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, რძის და სხვა პროდუქტების თვითღირებულება. მაგალითად, ცენტნერი საქონლის ხორცის წარმოება 8 მანეთით შემცირდა.

დიდად ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა. მარტო შარშან მინდვრად გავიტანეთ 3.700 ტონამდე მინერალური და ორგანული სასუქი, სარეველების საწინააღმდეგოდ პირველად გამოვიყენეთ ჰერბიციდები. პირუტყვის საკვების გასამდიდრებლად ვიყენებთ კარბამიდის ხსნარს, ინერგება კომპლექსური მექანიზაცია, შარშან ფიზიკური შრომის გამოუყენებლად 120 ჰექტარზე მოვიყვანეთ სასილოსე სიმინდი, სიმინდის მთელი ნათესების კულტივაცია მექანიზებულად შესრულდა.

ჩვენთან არსებობს სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც ჩაბმულია წარმოების მრავალი მოწინავე.

სამართლიანად ვამაყობთ მოწინავე ადამიანებით. მეცხრე ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ილია ფიკლაური ხელმძღვანელობს, გასული წელი სახალხო მაჩვენებლებით დაამთავრა. ბრიგადის შვიდი წევრის პორტრეტები მოწინავეთა რაიონულ დაფაზეა. აი ამ ბრიგადის მაჩვენებლები: ჰექტარზე მიღებულია 18,2 ცენტნერი ხორბალი, 47,4 ცენტნერი სიმინდი, 160 ცენტნერი კარტოფილი. ეს დიდად ხეპრობს გეგმით გათვალისწინებულს.

მოწინავენი არიან კომუნისტების გაიოზ შაბურიშვილის, შოთა ჯინჭარაშვილის, გიორგი ფარსიმაშვილის, სერგო ისაშვილის, შალვა ბეჭანიშვილის და სოსო ნაბლიაშვილის ბრიგადები.

— ყველას რომ ასე ემუშავა, — შენიშნა მომხსენებელმა, — ჩვენი არტელის შემოსავალი ორჯერ და მეტად გაიზრდებოდა.

დიდი გასაკანი მიეცა მატერიალური დაინტერესების პრინციპს. საკმარისია ითქვას, რომ შარშან შრომის დამატებითი ანაზღაურების წესით მოწინავე კოლმეურნეებს მივეცით 403 ტონა ხიმინდი, 50 ტონა ბოსტნეული, 52 ტონა ლობიო და 11 ტონა ხორბალი. მეცხრე ბრიგადის წევრმა ციცინო თოთიაურმა თავის ფართობზე მიიღო 57 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად 20 ცენტნერისა და პრემიის სახით ოჯახში 3,2 ტონა სიმინდი შეიტანა. ასეთები ბევრნი არიან.

შენდება და მშვენდება კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები, ფართოვდება მექანიზაცია, ახლა კოლმეურნეობაში პირუტყვის ხუთი მექანიზებული საფდგომია. ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე შარშან აიგო მწყემსთა ორი საცხოვრებელი სახლი და ცხვრის ფარეხები. ამუამად შენდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ახალი სადგომი, ხალორე, სახბორე, საფრინველე. წელს აშენდება კოლმეურნეობის კანტორა. სოფელ ჩუბინინთკარში ელექტროგადამცემი ხაზი გაგვაყვანს.

ბაზარდა შრომადღის ღირებულება. შარშან ბაზალეთელებმა თვითეულ შრომადღეზე, პრემიების გარდა, მიიღეს ხუთი კილოგრამი მარცვალი.

მაგრამ კოლმეურნეებს მიღწეული არ აკმაყოფილებთ. ახალი წარმატებებისაკენ სწრაფვა და ნაკლოვანებებთან შეურიგებლობა იგრძნობოდა როგორც მოხსენებაში, ისე მოკამათეთა სიტყვებში. აღინიშნა სერიოზული ჩამორჩენა მეცხვარეობაში, მეღორეობასა და მეფრინველეობაში. კრების მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელი ვლადიმერ ხარხელაური და მეღორეობა-მეფრინველეობის ფერმის გამგე ლევან თანიაშვილი, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დაკისრებულ საქმეს.

საინტერესო იყო მოწინავე მეხიმინდის შოთა სანაშვილის გამოსვლა. ეს ახოვანი ახალგაზრდა სოფელში ავტორიტეტით სარგებლობს და ბუნებრივია, რომ მის სიტყვას გულდასმით უსმენდნენ. — ჩემთვის, — თქვა შოთამ, — შრომა ისევე აუცილებელია, როგორც პური და წყალი. დიდი სამამულო ომის დროს დავიწყე კოლმეურნეობაში მუშაობა და მას შემდეგ არ ყოფილა წელიწადი 300-400 შრომადღე რომ არ გამომეშუშავებინა, ვარ ხელოსანი — დურგალი, კალატოზი, ვმონაწილეობ სხვადასხვა მშენებლობაში, ამავე დროს ვასრულებ გამგეობის სხვა დავალებებს. შარშან ჩამაბარეს 1,4 ჰექტარი სიმინდის ნათესი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 28 ცენტნერისა, მივიღე 49 ცენტნერი სიმინდი და გეგმის გადაჭარბებისათვის მერგო პრემია 14 ცენტნერი სიმინდი. მატერიალური დაინტერესება დიდი ძალაა, ეს პრინციპი მომავალშიც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ. პირობას ვიძლევი წელსაც სიმინდის უხვი მოსავალი მოვიყვანო.

ტრიბუნაზეა მოწინავე მწველავი მარიამ სოლომონიშვილი, იგი მორცხვობს, წინასწარ დაწერილ სიტყვას გვერდზე დებს და უბრალოდ ამბობს:

— შარშან მებარა 14 ძროხა, უნდა მიმეღო ჩვიდმეტნახევარი ტონა რძე, გეგმას ხუთი ტონით გადავაჭარბე. გავზარდე თოთხმეტი ხბო, ჯილდოდ მივიღე ორტონანახევარი რძე და ერთი ხბო. წელსაც უკეთ ვიმუშავებ.

მოკამათეებმა ვახტანგ ეგიტაშვილმა, ილია ფიკლაურმა, გარსევან სანაშვილმა, ელენე ასლამაზოვამ, ამირან შაბურიშვილმა, ეთერ ბუჩაშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ არის საშუალება შრომადღეებზე განაწილდეს მეტი ფული და პროდუქტები. კოლმეურნეობას შეუძლია ყველა სოფელში გახსნას საბავშვო ბაგა, უკეთ მოაწყოს კოლმეურნეთა კოლტურული დასვენება. გაამჯობესოს ხაყოფაცხოვრების მომსახურება, გადიდოს ბაღ-ვენახების ფართობი.

ამ შენობის მახლობლად, სადაც კრება მიმდინარეობდა, ეგზიბიციის ბაზალეთის ტბა, რომელიც ხალხში ლურჯად ლივლივებს ზნის სხივებზე, ახლა ენ ბუნებრივ სარეკ ადგილის სკვალი ჯაბანი ბოლო დაფარავდა. ბაზალეთელები ამბობენ, რომ შეიძლება არაგვის წყლით ამ ტბის ავსება და მის ბაზაზე სარწყავი სისტემის მოწყობა. ეს არის კოლმეურნეთა დიდი ხნის ოცნება, რომელიც ალე ფრთებს შეისხამს. კრების მონაწილენი მეუხარე ტაშით შეხვდნენ ცნობას, რომ წელს დაიწყება ბაზალეთის სარწყავი სისტემის დაპროექტება.

კრებამ დაამტკიცა კოლმეურნეობის წლიური ანგარიში და სარევიზიო კომისიის აქტი, აირჩია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა. დასახა ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. გამგეობის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს სკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი, აგრონომი ოთარ მამულაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა კოლმეურნეებს და აღუთქვა, რომ ეცდება კვლავაც გაამართლოს მათი ნდობა.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამბ. შ. ბანუშაძემ.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

**კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე**

# შვიდწლედის მძლავრი ნაბიჯები

## სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

**პროდუქტიული პირუტყვის სულადობამ** წლის დამლევისათვის შეადგინა (მილიონი სული):

| | 1962 წელს | 1963 წელს | 1964 წელს (წინასწარი მონაცემები) |
|---|---|---|---|
| ყველა კატეგორიის მეურნეობანი | | | |
| მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | 87,0 | 85,4 | 87,1 |
| აქედან ძროხა | 38,0 | 38,3 | 38,7 |
| ღორი | 70,0 | 40,9 | 52,8 |
| ცხვარი და თხა | 146,4 | 139,5 | 130,6 |
| კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობანი | | | |
| მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | 62,5 | 61,3 | 62,0 |
| აქედან ძროხა | 21,8 | 22,3 | 22,6 |
| ღორი | 53,9 | 27,7 | 38,3 |
| ცხვარი და თხა | 110,9 | 108,4 | 100,1 |
| კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირადი საკუთრების | | | |
| მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | 24,5 | 24,1 | 25,1 |
| აქედან ძროხა | 16,2 | 16,0 | 16,1 |
| ღორი | 16,1 | 13,2 | 14,5 |
| ცხვარი და თხა | 35,5 | 31,1 | 30,5 |

უკანასკნელ ორ წელიწადში მკვეთრად შემცირდა ღორის სულადობა — 1962 წელს 70 მილიონი სულიდან 52,8 მილიონ სულამდე გასულ წელს. რამდენადმე შემცირდა ცხვრისა და თხის სულადობა.

წარმოების ზრდასთან დაკავშირებით გაუმჯობესდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ფინანსური მაჩვენებლები. **კოლმეურნეობების ფულადმა შემოსავალმა** შეადგინა 17 მილიარდი მანეთი და 1963 წელთან შედარებით 1,2 მილიარდი მანეთით გაიზარდა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემცირდა ძირითად სახეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის **თვითღირებულება,** გაიზარდა შემგებიანი საბჭოთა მეურნეობების რიცხვი. ამასთან ერთად სოფლის მეურნეობის პროდუქტების თვითღირებულება ჯერ კიდევ დიდია. საბჭოთა მეურნეობებში ვერ შესრულდა დაგროვების გეგმა.

სოფლის მეურნეობამ წლის მანძილზე **საკმაოდ ბევრი ტექნიკა** მიიღო: 222 ათასი ტრაქტორი — ფიზიკური ერთეული, რაც 15-ძალიანზე გადაანგარიშებით 422 ათას ტრაქტორს უდრის, 80 ათასი სატვირთო ავტომობილი, 78 ათასი მარცვლასაღები კომბაინი, 48 ათასი სილოსის ასაღები, 9,5 ათასი სიმინდის ასაღები, 5,6 ათასი კარტოფილის ასაღები და 18 ათასი ჰარხლის ასაღები კომბაინი, 82 ათასი მწკრივად სამკელი მანქანა, 7 ათასი ბამბის ასაღები მანქანა. მიიღო აგრეთვე ტრაქტორის ბევრი კიდული და მისაბმელი მანქანა: 173 ათასი გუთანი, 234 ათასი სათესი მანქანა, 184 ათასი კულტივატორი, 35 ათასი საოშავი, 18 ათასი მინერალური სასუქების მომბნევი, 14 ათასი ჰერბიციდ-ამიაკის მანქანა, 111 ათასი სათიბელა, 66 ათასი უნივერსალური სატვირთავი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა. სოფლის მეურნეობამ მიიღო აგრეთვე 22 მილიონი ტონა მინერალური სასუქები, რაც 6 მილიონი ტონით მეტია, ვიდრე 1963 წელს.

## III.

## ტრანსპორტი

ქვემოთ მოგვყავს ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის გეგმის შესრულების მონაცემები:

| | შესრულებულია 1964 წელს | წლიური გეგმის შესრულების პროცენტი | 1964 წელი პროცენტით 1963 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|
| ტვირთბრუნვა — მილიარდი ტონა-კილომეტრი | | | |
| რკინიგზის ტრანსპორტი | 1850 | 103 | 106 |
| საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი | 124,4 | 104 | 109 |
| საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი | 38,8 | 105 | 114 |
| ნავთობსადენი ტრანსპორტი | 113,1 | 99 | 124 |
| **ტვირთების გადაზიდვა** — მილიონი ტონა | | | |
| რკინიგზის ტრანსპორტი | 2274 | 103 | 106 |
| საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი | 252,3 | 105 | 105 |
| საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი | 2219 | 104 | 111 |
| გადატუმბულია ნავთობსადენი ტრანსპორტით | 213 | 104 | 115 |

**საზღვაო ტრანსპორტმა** ტვირთბრუნვის წლიური გეგმა საკბოტაჟო ნაოსნობაში შეასრულა 104 პროცენტით, საზღვარგარეთ ნაოსნობაში ტვირთზდვისა — 107 პროცენტით; ტვირთბრუნვა ყველა სახეობის ნაოსნობაში წინა წელთან შედარებით გადიდდა 31 პროცენტით და ტვირთების გადაზიდვა — 17 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების გეგმა შესრულებულია.

**საჰაერო ტრანსპორტმა** ტვირთზიდვის გეგმა შეასრულა; მგზავრთბრუნვა გადიდდა 22 პროცენტით, მგზავრების გადაყვანა — 15 პროცენტით და ტვირთების გადაზიდვა 13 პროცენტით.

**საელმავლო და სათბომავლო წევაზე გადაყვანილი რკინიგზების სიგრძემ** გასული წლის დამლევისათვის შეადგინა 71 ათასი კილომეტრი და 1963 წელთან შედარებით გადიდდა 13 პროცენტით.

**საელმავლო და სათბომავლო წევით შესრულებული ტვირთბრუნვის** ხვედრითმა წონამ საერთო ტვირთბრუნვაში შეადგინა 79 პროცენტი ნაცვლად 1963 წლის 71 პროცენტისა.

შესრულებულია კაგონის ბრუნვისა და მოცდენის დროის შემცირების, სატვირთო მატარებლების მოძრაობის საუბნო სიჩქარის გადიდების, ლოკომოტივთა საშუალო სადღეღამისო გარბენისა და მატარებლების საშუალო წონის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების დავალებანი. მაგრამ ზოგიერთ რკინიგზას არ შეუსრულებია მოძრავი შემადგენლობის გამოყენების ცალკეული მაჩვენებლების გეგმა.

ბევრი საწარმო ურიგდება ვაგონების ნორმის გადამეტებით მოცდენას სატვირთო ოპერაციების დროს. კვლავ მნიშვნელოვანია მოძრავი შემადგენლობის მოცდენა და უტვირთოდ გარბენა საზღვაო, სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტზე.

## IV.

## კაპიტალური მშენებლობა

გასულ წელს ამოქმედდა ახალი საწარმოო სიმძლავრენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მწყობრში ჩადგა **600 ათასი მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო, აგრეთვე ბევრი ახალი საამქრო და წარმოება იმ საწარმოებში, რომელთა რეკონსტრუქცია** და გაფართოება **მიმდინარეობს.**

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე **ამოქმედდა ახალი ძირითადი ფონდები** 33,7 მილიარდი მანეთის ღირებულებისა. მაშინ როცა მთლიანად სახალხო მეურნეობაში ძირითადი ფონდების ამოქმედება გადიდდა 6 პროცენტით, ნავთობისა და გაზის მრეწველობაში ძირითადი ფონდების ამოქმედება გადიდდა 16 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობაში — 17 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში — აგრეთვე 17 პროცენტით, მსუბუქ და კვების მრეწველობაში — 10 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 28 პროცენტით. მაგრამ ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების წლიური გეგმები მთელ რიგ დარგებში ბევრ ეკონომიურ რაიონსა და რესპუბლიკაში არ შესრულებულა.

**სიმძლავრეთა ამოქმედებას** მრეწველობის ცალკეულ დარგებში და ტრანსპორტზე ახასიათებს შემდეგი ციფრები:

| | 1964 წელს ამოქმედებული სიმძლავრენი (წინასწარი მონაცემები) |
|---|---|
| ელეკტროსადგურები — მილიონი კილოვატი | 10-ზე მეტი |
| ქვანახშირი — მილიონი ტონა | 16 |
| თუჯი — მილიონი ტონა | 2,4 |
| ფოლადი — მილიონი ტონა | 4,3 |
| მზა ნაგლინი — მილიონი ტონა | 1,7 |
| რკინის მადანი — მილიონი ტონა | 19 |
| მინერალური სასუქები — მილიონი ტონა | 8 |
| სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები — ათასი ტონა | 48 |
| ქიმიური ბოჭკოები — ათასი ტონა | 66 |
| ავტომობილის სალტეები — მილიონი ცალი | 1,5 |
| ლითონსაჭრელი ჩარხები — ათასი ცალი | 13 |
| ქიმიური მოწყობილობა — მილიონი მანეთი | 49 |
| ნავთობის აპარატურა — ათასი ტონა | 26 |
| ტრაქტორები — ათასი ცალი | 32,5 |
| ცემენტი — მილიონი ტონა | 3,7 |
| ქაღალდი — ათასი ტონა | 443 |
| საქსოვი დაზგების დადგმა — ათასი ცალი | 7,5 |
| ტყავის ფეხსაცმელი — ძიღლიონი წყვილი | 16-ზე მეტი |
| ფხვნილი შაქარი — ათასი ცენტნერი | |
| ჭარხლის სადღეღამისო გადამუშავება | 183 |
| ელევატორები და მარცვლეულის საწყობები — მილიონი ტონა | 6,6 |
| გაზსადენების სიგრძე — ათასი კილომეტრი | 4 |
| აშენდა საერთო სარგებლობის ახალი რკინიგზები — კილომეტრი | 600 |
| ელექტროფიცირებულია რკინიგზები — კილომეტრი | 2142 |

ამ მონაცემებში არ შედის მოქმედ სამრეწველო საწარმოებში საწარმოო სიმძლავრეთა მატება, რაც მიღებულია წარმოების მექანიზაციისა და ინტენსიფიკაციის, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, მოწყობილობის მოდერნიზაციისა და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა განხორციელების შედეგად. მაგალითად, მოქმედ საწარმოებში თუჯის საწარმოო სიმძლავრეები გაიზარდა 1,2 მილიონი ტონით, ფოლადისა — 1,3 მილიონი ტონით, შავი ლითონების ნაგლინისა — 0,9 მილიონი ტონით.

**სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი** შეადგენს 34,8 მილიარდ მანეთს და 1963 წელთან შედარებით 8 პროცენტით გაიზარდა.

**საოჯახო სამუშაოთა, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების წლიური გეგმა მშენებლობაში შესრულებულია.** მაგრამ ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა საოჯახო სამუშაოთა საერთო მოცულობის გეგმა, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალებანი და დაგროვების გეგმა. მშენებლობაში გაცდენების შედეგად იკარგება ბევრი სამუშაო დრო, სათანადოდ არ იყენებენ მანქანებსა და მექანიზმებს, რომლებიც აქვთ.

## V.

## ხალხის მატერიალური კეთილდღეობის და კულტურული დონის ამაღლება

**მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო წლიური რიცხვი სახალხო მეურნეობაში შეადგენს 78 მილიონ 200 ათას კაცს და ერთ წელიწადში 2 მილიონ 700 ათასი კაცით გაიზარდა.** მრეწველობაში, მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობის საწარმოებში მუშებს, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების რიცხვი ერთ წელიწადში 1 მილიონ 600 ათასი კაცით გადიდდა. სკოლებს, სასწავლებლებს, სამეცნიერო-საკვლევი, სამედიცინო და სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა რიცხვი **გაიზარდა 700 ათასი კაცით,** ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკთა რიცხვი — 400 ათასი კაცით.

1964 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა არ ყოფილა.

1964 წლის მეოთხე კვარტალში **ხელფასი მოემატა** მთელი ჩვენი ქვეყნის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის 9 მილიონზე მეტ მუშაკს, აგრეთვე ყველა იმ დარგის მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მოსახლეობას ემსახურებიან ჩრდილოეთ რაიონებში.

დახმარებამ და შეღავათებმა, რასაც მოსახლეობა იღებს **მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან,** მიაღწია 36,6 მილიარდ მანეთს და 1963 წელთან შედარებით 6,7 პროცენტით გაიზარდა. ამ ფონდების ხარჯზე უზრუნველყოფილი იყო: უფასო სწავლება და სამედიცინო მომსახურება, ანაზღაურება ავადმყოფობის, ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულებებისა და მორიგი შვებულებების დროს, დახმარება მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, პენსიების გაცემა, აგრეთვე სხვა დახმარება და შეღავათები.

მოსახლეობის ანაბრები **შემნახველ ხალაროებში** გადიდდა 1,7 მილიარდი მანეთით და წლის დამლევისათვის 15,7 მილიარდ მანეთს შეადგენდა, ხოლო ანაბრების რაოდენობამ 55 მილიონს მიაღწია.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვის მოცულობამ** შეადგინა 95,2 მილიარდი მანეთი, ანუ წლიური გეგმის 99,4 პროცენტი; გადაჭარბებით შესრულდა საზოგადოებრივი კვების გეგმა. წინა წელთან შედარებით საქონელბრუნვა გადიდდა 4,5 მილიარდი მანეთით, ანუ შესადარ ფასებში 5,3 პროცენტით.

**ცალკეული საქონლის გაყიდვა** სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად შეიცვალა:

| | გაიყიდა 1964 წელს პროცენტობით 1963 წელთან შედარებით |
|---|---|
| პურის პროდუქტები | 104 |
| ხორცი და ხორცის პროდუქტები | 98 |
| თევზი, ქაშაყი და თევზის სხვა პროდუქტები | 115 |
| კარაქი | 109 |
| მცენარეული ზეთი | 119 |
| მოუხდელი რძის პროდუქცია | 110 |
| ყველი | 113 |
| კვერცხი | 100 |
| შაქარი | 102 |
| საკონდიტრო საქონელი | 110 |
| ჩაი | 104 |
| კარტოფილი | 120 |
| ბოსტნეული | 110 |
| ხილი | 103 |
| ციტრუსები | 122 |
| ქსოვილები | 97 |
| ტანსაცმელი და საცვლები | 103 |
| ტრიკოტაჟის ნაწარმი | 111 |
| წინდა | 113 |
| ტყავის ფეხსაცმელი | 104 |
| ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭელი | 105 |
| საპონი | 104 |
| ავეჯი | 106 |
| მაცივრები | 121 |
| სარეცხი მანქანები | 127 |
| მტვერსასრუტები | 107 |
| საათები | 112 |
| მოტოციკლები და მოტოროლერები | 106 |
| ველოსიპედები და მოტოველოსიპედები | 105 |
| რადიომიმღებები და რადიოლები | 116 |
| ტელევიზორები | 120 |
| მსუბუქი ავტომობილები | 97 |

მიუხედავად იმისა, რომ იზრდებოდა საქონელბრუნვა, მთლიანად ვერ კმაყოფილდებოდა მოსახლეობის მოთხოვნილება ზოგიერთ საესურსათო და სამრეწველო საქონელზე, კერძოდ, მეცხოველეობის პროდუქტებზე, ტრიკოტაჟის ნაწარმზე, მაცივრებზე, სარეცხ მანქანებზე, ცალკეულ სახეობათა ტანსაცმელზე, ქსოვილებსა და ფეხსაცმელზე. ამავე დროს გადიდდა ზენორმატიული საქონლის მარაგი, განსაკუთრებით შეკერილი ნაწარმის, ქსოვილების და ფეხსაცმლისა. საქონლის ზედმეტი მარაგი მოწმობს, რომ სავაჭრო ორგანიზაციები და მრეწველობა სუსტად სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას. აგრეთვე ზოგი სახალხო მეურნეობის საბჭო და ბევრი სამრეწველო საწარმო ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ასორტიმენტის გაფართოებას.

წარმატებებმა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარებაში, საცალო საქონელბრუნვის და მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ზრდამ **უზრუნველყო ფულის მიმოქცევის სიმყარე.**

კიდევ უფრო განვითარდა **სახალხო განათლება, მეცნიერება და კულტურა.**

**68 მილიონზე მეტი კაცი, ანუ საბჭოთა მოსახლეობის მესამედი** (გარდა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა) **ჩაბმულია სხვადასხვა სახეობის სწავლებაში.** მარტო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 46,7 მილიონი კაცი.

რვაწლიანი სკოლა დაამთავრა 4 მილიონმა, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა — 1 მილიონ 400 ათასმა მოსწავლემ.

**უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში** სწავლობს 6,9 მილიონზე მეტი კაცი. აქედან 3,6 მილიონი — უმაღლეს სასწავლებლებში და 3,3 მილიონზე მეტი — ტექნიკუმებში, ამასთან წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში — 2 მილიონზე მეტი კაცი და ტექნიკუმებში — 1,7 მილიონი.

1964 წელს სახალხო მეურნეობამ მიიღო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 900 ათასზე მეტი სპეციალისტი, მათ შორის 350 ათასზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე, აქედან 133 ათასი ინჟინერი, და 550 ათასზე მეტი საშუალო სპეციალური განათლების მქონე.

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში გასულ წელს მიღებულია 1,8 მილიონზე მეტი კაცი, აქედან უმაღლეს სასწავლებლებში — 800 ათასზე მეტი და ტექნიკუმებში — ერთ მილიონზე მეტი.

**პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებმა და სკოლებმა** ერთ წელიწადში მომზადეს 900 ათასი ახალგაზრდა მუშა. ამას გარდა, ფართოდ ხორციელდებოდა ღონისძიებანი კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის უშუალოდ წარმოებაში.

**მეცნიერ მუშაკთა** რიცხვმა 1964 წლის დამლევს 600 ათასს გადააჭარბა.

ქალაქებსა და სოფლებში სახელმწიფო სახსრებით, აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით **აშენდა დაახლოებით 75 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ანუ 1 მილიონ 900 ათასზე მეტი ახალი ბინა.** ამასთან საბინაო-სამშენებლო კოოპერაციამ აშენა 4,8 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გარდა ამისა **კოლმეურნეობებში დაახლოებით 375 ათასი საცხოვრებელი სახლი აშენეს** (კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ).

**გასულ წელს ქალაქებსა და სოფლებში ახალ ბინებსა და სახლებში შესახლდა, აგრეთვე ადრე აშენებულ სახლებში საბინაო პირობები გაუუმჯობესა 10 მილიონზე მეტმა კაცმა.**

საბელმწიფოს სახსრებით, აგრეთვე კოლმეურნეობათა სახსრებით **აშენდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები** 1,6 მილიონი მოსწავლისათვის, **საავადმყოფოები,** სადაც თითქმის 55 ათასი საწოლია, **საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი** 546 ათასი ბავშვისათვის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები.

ამასთან ერთად საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა მთლიანად და ბევრ რესპუბლიკასა და ოლქში ვერ შესრულდა.

დიდი სამუშაოები განხორციელდა **საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციისათვის.** გაზიფიცირებული ბინების რიცხვი ერთ წელიწადში გადიდდა 1 მილიონ 400 ათასით, ანუ 22 პროცენტით. გაზი მიეწოდება მოსახლეობისათვის და საწარმოთა და დაწესებულებათა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის, 1963 წელთან შედარებით, 21 პროცენტით გაიზარდა.

მოსახლეობის სამრეწველო ხასიათის **საყოფაცხოვრებო მომსახურების** (ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ავეჯის, ტელევიზორების, მაცივრებისა და სხვა საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების შეკეთება) სამუშაოთა მოცულობა განვლილ წელს 19 პროცენტით გადიდდა, ხოლო არასამრეწველო ხასიათის მომსახურებისა (სამოცხაო, აბანო, სპარიკმახერო, გასაქირავებელი პუნქტი, ფოტოგრაფია) — 17 პროცენტით. მაგრამ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, განსაკუთრებით სოფლად; მათი მუშაობის ხარისხი ხშირად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. მთელ რიგ რესპუბლიკებში საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი საწარმოების მშენებლობისა და ძველი საწარმოების რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილი სახსრები მთლიანად არ არის ათვისებული.

**გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო დახმარება.** ყველა სპეციალობის ექიმთა რიცხვი ერთ წელიწადში 22 ათასით და მეტად გაიზარდა. გადიდდა საწოლთა რიცხვი საავადმყოფოებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში.

კვლავ კლებულობდა მოსახლეობის სიკვდილიანობა.

**საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ 1965 წლის 1 იანვრისათვის 229 მილიონი კაცი შეადგინა.**

• • •

წლიური გეგმის შესრულების შედეგები მოწმობს ახალ წარმატებებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე. ეს შედეგები ამავე დროს ცხ

# სიცოცხლისათვის

*როტერდამი, 28 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). „მარად გახსოვდეთ, მოიგონებდეთ იმათ, ვინც ოსვენციმის გაზის კამერებში დაწყვეს. ნურასოდეს განმეორდება ოსვენციმის საშინელებანი“.*

*გუშინ საღამოს როტერდამში კვლავ გაისმა ჰოლანდიელი პოეტი ქალის ვან ამსტელის ლექსის ეს სიტყვები, რომლის ქალიშვილი დასწყვეს ოსვენციმის გაზის კამერაში. როტერდამში, სასტუმრო „რაინ-ოტელის“ სპორტულ დარბაზში ოსვენციმის ყოფილ პატიმართა ჰოლანდიის კომიტეტის როტერდამის განყოფილებამ მოაწყო საღამო, რომელიც მიეძღვნა ოსვენციმის მსხვერპლთა ხსოვნას და საბჭოთა ჯარების მიერ ამ ბანაკის პატიმართა განთავისუფლების 20 წლისთავს.*

*დარბაზში შეიკრიბნენ როტერდამის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ოსვენციმის ყოფილი პატიმრები, წინაღმდეგობის მოძრაობის ყოფილი მონაწილეები, ახალგაზრდობა.*

*საღამოს ყველა მონაწილემ მჭახარეტაშის გრიალში მოიწონა დეპეშების ტექსტი, რომლებიც ოსვენციმის ყოფილ პატიმართა ჰოლანდიის კომიტეტმა გაუგზავნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ერჰარდს და ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრს მარეინენს.*

*ერჰარდისადმი გაგზავნილ დეპეშაში გამოთქმულია აღშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ გადაწყვიტა შეწყვიტოს ნაცისტ დამნაშავეთა დევნა „ხანდაზმულობის“ გამო. მარეინენისადმი გაგზავნილ დეპეშაში ოსვენციმის ყოფილ პატიმართა ჰოლანდიის კომიტეტი აღნიშნავს, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის დევნა არ შეიძლება შეწყდეს „ხანდაზმულობის“ გამო და სთხოვს მსარი დაუჭიროს ამ თვალსაზრისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.*

# მედიკთა ფორუმი

**ჟენევა**, 29 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი **გ. დრაგუნოვი** იუწყება: 100-180 ათასი კაცი ავადმყოფობს ყვავილით ყოველწლიურად მსოფლიოში. განსაკუთრებით გავრცელებულია ეს ავადმყოფობა აზიის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. ავადმყოფთა 20 პროცენტი იხოცება.

საბჭოთა დელეგაციამ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასკომის სესიაზე, რომელიც ეს-ეს არის დამთავრდა აქ, წამოაყენა წინადადება თავი მოუყარონ ღონისძიებებს ყვავილის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მეორე დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა მალარიის აღმოფხვრა. საბჭოთა კავშირისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლთა წინადადებით ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასკომმა გადაწყვიტა გააძლიეროს შეტევა მალარიის წინააღმდეგ, შემუშაოს ამ ავადმყოფობის ლიკვიდაციის უფრო ქმედითი ღონისძიებანი.

სესიამ განიხილა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო სამეცნიერო-საკვლევი ცენტრის შექმნის საკითხი. ბევრმა დელეგაციამ გამოთქვა აზრი ასეთი ცენტრის შექმნის წინააღმდეგ. მათ მიაჩნიათ, რომ ეს ცენტრი გაუმართლებლად მოითხოვს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უზარმაზარ ძალებსა და სახსრებს, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილია განვითარებადი ქვეყნების მედიცინის დასახმარებლად. საერთაშორისო ცენტრის საკითხი დატოვებულია დამატებით შესწავლისათვის.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სახსრების უფრო რაციონალური გამოყენებისათვის ზრუნვით იყო გამსჭვალული აღმასკომის მთელი რიგი წევრების განცხადებანი ამ ორგანიზაციის ბიუჯეტის განხილვის დროსაც. საბჭოთა დელეგაციამ ხმა მისცა ბიუჯეტის დამტკიცებას, ამავე დროს ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა შემცირდეს ადმინისტრაციული ხარჯები. საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ ამ ხარჯების შემცირებასთან ერთად საჭიროა მთელი ღონისძიებანი მოხმარდეს უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადაჭრას, უწინარეს ყოვლისა განვითარებადი ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვისათვის დახმარების გაწევას.

## უ. ჩერჩილის დაკრძალვაზე

**ლონდონი**, 28 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ნ. რუდნევი და საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობამ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებად დანიშნა ინგლისის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის უინსტონ ჩერჩილის დაკრძალვაზე.

# ეჯანყებულნი უტევენ

**კაირო**, 28 იანვარი. (საკდესი). ნაღმის აფეთქების შედეგად დაიხოცა ოთხი ინგლისელი ჯარისკაცი, იუწყება მენის საადგენტო. აქ გამოქვეყნებულ — „არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის“ სამხედრო კომუნიკეში ნათქვამია, რომ ფრონტის აჯანყებულთა მიერ ჩადებულმა ნაღმმა აიფეთქა ინგლისის ჯავშანტრანსპორტერი.

მეორე კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებმა განკარგულება გასცეს გიჩხრიკონ კერძო სახლები მთელ რაიონში ადენიდან იემენის არაბთა რესპუბლიკის საზღვრამდე. ამ ჩხრეკის მიზანი ის არის, რომ აღმოაჩინონ „არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის“ აჯანყებულნი, რომლებმაც განსაკუთრებით გააძლიერეს მოქმედება ამ რაიონში უკანასკნელ პერიოდში.

# ყოველი მხრიდან

## ევროპაში-გარეთ

### ნაპოლეონის ქუჩა

**საფრანგეთის** დედაქალაქში მხოლოდ ახლა შეიგნეს, რომ იქ არ არის ნაპოლეონის სახელობის არც ერთი ქუჩა. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთმა წევრმა მოითხოვა ამ შეცდომის გამოსწორება იმ სიბრალით, რომ... „ნაპოლეონმა ბევრი რამ გააკეთა პარიზის დაგეგმვისათვის“. (საკდესი).

### „საუიუი“ კომპოზიტორი

**ლონდონი**, 28 იანვარი. (საკდესი). ცნობილ იტალიელ კომპოზიტორს ლუიჯი ნონოს არ მისცეს შეერთებულ შტატებში შესასვლელი ვიზა, იუწყება რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი რომიდან.

კორესპონდენტის კითხვაზე, ამერიკის ხელისუფალთა ეს გადაწყვეტილება გამოწვეული ხომ არ არის იმით, რომ ნონო იტალიის კომუნისტური პარტიის წევრია, ამერიკის საელჩოს წარმომადგენელმა თქვა: „ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის მიზეზი. ჩვენი კანონები ამ მხრივ ძალიან მკაცრია“.

იტალიელ კომპოზიტორს, რომელიც ვენეციაში ცხოვრობს, განზრახული ჰქონდა სწავლებოდა ბოსტონს, სადაც პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა დადგმულიყო მისი ერთ-ერთი ოპერა.

**ბუნდესვერის სანგარში**

— ვინ იყავით წინათ?
— ბედნიერი კაცი.

„კვიკ“, მიუნხენი.

**გამოსავალი იპოვნა**

— ავადმყოფი მეთორმეტე პალატიდან დღეს დილით უნდა გაეწეროს.. ანგარიში უკვე მივუტანე.

„პურკუა პა?“, ბრიუსელი.

**პატარა გაუგებრობა**

— არა, მადმუაზელ, საქმე იმას როდი ეხება, რომ კინოში გადადება შემოგთავაზოთ.

„პარი-ჟურ“, პარიზი.

# საერთაშორისო პრემია — კ. გლადკოვს

**ბრიუსელი**, 28 იანვარი. (საკდესი). საერთაშორისო პრემია „წითელი და მწვანე“ მიენიჭა საბჭოთა მწერალს კ. გლადკოვს, რომლის წიგნი „ატომის ენერგია“ აღიარებულია 1964 წლის საუკეთესო წიგნად.

საშუალო სასწავლებელთა მოსწავლეების ასოციაციას, რომელმაც დააწესა ეს პრემია და მიანიჭა იგი საბჭოთა მწერალს, მიაჩნია, რომ წიგნი „ატომის ენერგია“ ეძღვნება „ჩვენი ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვან მეცნიერულ პრობლემას და დაწერილია მშვიდობის შენარჩუნების საჭიროების პოზიციიდან“.

ეს ჩვენთვის დიდი მოვლენაა, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ამ პრემიის დაარსების ერთ-ერთმა ინიციატორმა შმიტცმა.

პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი იყო ათი სხვადასხვა ქვეყნის 20 ნაწარმოები.

საბჭოთა მწერალს პრემია გადაეცემა მარტში.

◆

# „საუკეთესო ძეგლი“

**ჰავანა**, 28 იანვარი. (საკდესი). კუბელი ხალხი დღეს საზეიმოდ აღნიშნავს ესპანეთის ბატონობისაგან თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირის ხოსე მარტის დაბადების 112 წლისთავს. მთელ თავისუფლების კუნძულზე მიმდინარეობს მშრომელთა მიტინგები და კრებები, სპორტული ასპარეზობანი, მოსწავლეთა და სტუდენტთა პარადები. ხოსე მარტის ხსოვნის აღსანიშნავად ჰავანაში გაიხსნა მუზეუმი, რომელშიც შეკრებილია კუბის ერთგული შვილის ცხოვრების ამსახველი მასალები.

ხოსე მარტის სახელს დღეს მადლიერებით ახსენებს თითოეული კუბელი მშრომელი. მას ეძღვნება გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლები, რადიისა და ტელევიზიის პროგრამები.

„ჩვენი კუბა, — წერს დღეს გაზეთი „ოო“, — სავსებით სუვერენული და დამოუკიდებელი, რომელიც ერთგულად იცავს დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში დაღუპული შვილების ხსოვნას, — აი ხოსე მარტის საუკეთესო ძეგლი“.

# ვ ი ზ ი ტ ი ს ფ ა ს ი

**ინდონეზიის** პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიო პეკინში ვიზიტის დამთავრების შემდეგ ჩავიდა ტაილანდის დედაქალაქში. პეკინში გამართული მოლაპარაკების შემდეგ გამოქვეყნდა ჩინეთ-ინდონეზიის ერთობლივი განცხადება, აგრეთვე ხელი მოაწერეს ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის საკრედიტო შეთანხმებას.

**ინდონეზიის** რესპუბლიკის საზღვრებზე იმპერიალისტთა პროვოკაციები აიძულებს ინდონეზიის არმიას სიფხიზლე დაიცვას. მიუხედავად ტროპიკული სიცხეებისა და კოკისპირული წვიმებისა, ინდონეზიის არმიის ნაწილების ჯარისკაცები და ოფიცრები სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო ოსტატობას. სურამბუმ: ქვეითი ჯარი ლაშქრობაში.

ფოტო ბ. ივანოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

# კვლავ ჩაიფუშა...

**ლონდონი**, 28 იანვარი. (საკდესი). ვაშინგტონისათვის უკანასკნელი გადატრიალება უარესი იყო, ვიდრე კიდევ ერთი დამარცხება ან დამარცხებათა შორის, რომლებიც უკვე ჩვეულებრივი გახდა, წერს დღეს გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ სიგონში მომხდარი მორიგი გადატრიალების გამო. ბუდისტთა დემონსტრაციები, რომელთა შემდეგ ქანი ხელისუფლებას დაუბრუნდა, აშკარად ამერიკის საწინააღმდეგო იყო. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ტელეორის გადაყენებას ყოფილი მარიონეტის ხიონგის გადაყენებასთან ერთად.

# ა რ ი წ ო ნ ე ბ ე ნ...

**ლონდონი**, 28 იანვარი. (საკდესი). პარლამენტის უკანასკნელი დამატებითი არჩევნების შედეგებით შეშფოთებულმა ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა უახლოეს დროში მოაწყოს ორმოცდაათამდე რაიონული კონფერენცია, რომლებზეც გამოვლენ ლეიბორისტი მინისტრები. კონფერენციებზე, სადაც მიიწვევენ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა და პროფკავშირების წარმომადგენლებს, განმარტავენ მთავრობის ახლანდელი პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტს.

„დეილი უორკერი“ დღეს აღნიშნავს, რომ ამ თათბირებზე მთავრობის წარმომადგენლებს, უეჭველია, მკაცრად გააკრიტიკებენ. ამას დამაჯერებლად მოწმობენ მთელი რიგი პროფკავშირების რეზოლუციები, რომლებიც გმობენ მთავრობის ახლანდელ კურსს. მაგალითად, მედიკთა და მეტალურგთა ეროვნული პროფკავშირის ლონდონის განყოფილების 9 ათასი წევრი რეზოლუციაში, რომელიც პრემიერ-მინისტრს გაუგზავნეს, მთავრობისაგან მოითხოვს შეცვალოს პოლიტიკა და განახორციელოს ღონისძიებანი მონოპოლიათა შეტევის წინააღმდეგ.

# პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ჯ ო ნ ს ო ნ ი ს ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

**ვაშინგტონი**, 28 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი **ვ. ვაუდჩენკო** იტყობინება: დღეს პრეზიდენტმა ჯონსონმა კონგრესს გაუგზავნა ეკონომიური მოხსენება. მოხსენებაში შეჯამებულია 1964 წლის შედეგები, განხილულია მთავრობის ეკონომიური და ფინანსური პოლიტიკა და მოცემულია 1965 წლის ეკონომიური პერსპექტივების პროგნოზი.

ჯონსონი ამტკიცებს, რომ ამერიკის ეკონომიკაში ახლა „ჩინებული მდგომარეობაა“ და ამასთანავე მოუყავს განუხორციელებელი ამოცანებისა და მიზნების გრძელი ნუსხა. იგი ლაპარაკობს „ფართო აუვავებაზე“ და ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ყველაზე როდი ვრცელდება. პრეზიდენტის სიტყვით, ამერიკის ეკონომიკის ზრდა მყარი იყო, მაგრამ არ არის რაიმე რწმენა, რომ მუდმივი იქნება.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ კორპორაციათა წმინდა მოგება გადიდდა 1961 წლის 23,3 მილიარდი დოლარიდან 32 მილიარდ დოლარამდე 1964 წელს. ამ პერიოდში საბითუმო ფასების დონე პრაქტიკულად უცვლელი დარჩა, ხოლო საცალო სამომხმარებლო ფასები გადიდდა საშუალოდ 1,2 პროცენტით წელიწადში.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ოთხ წელიწადში გაუმჯობესდა საგადამხდელო ბალანსი და შემცირდა ოქროს გადინა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, 25 პროცენტით და მეტად გაიზარდა ამერიკის კომერციული ექსპორტი.

პრეზიდენტის მოხსენებაში აღნიშნულია დაუმთავრებელი საქმეები და შეუსრულებელი დაპირებანი. არ არის უზრუნველყოფილი სრული დასაქმება. დაახლოებით — 3,7 მილიონი ამერიკელი ეძებს სამუშაოს და ვერ პოულობს. ამის დამატებით ეგრეთწოდებული „ფარული უმუშევრობა“ თითქმის ერთ მილიონ კაცს შეადგენს. მომავალ წელს 1,3 მილიონი ახალი მუშა შეემატება შრომის ბაზარს.

ჯონსონი ხაზს უსვამს, რომ ამ ექვსი მილიონი პოტენციური მუშის სამუშაოთი უზრუნველყოფა 1965 წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური და სოციალური პრობლემაა. პრეზიდენტს შეგნებული აქვს ამ პრობლემის მთელი სირთულე, როცა საწარმოთა არასრული დატვირთვისა და წარმოების ავტომატიზაციის შედეგად მილიონობით ამერიკელ მუშას ითხოვენ ყოველწლიურად ფაბრიკა-ქარხნებიდან, და აღნიშნავს, რომ „მაქსიმალური დასაქმების, მაქსიმალური წარმოებისა და მყიდველობითი უნარის გზა ადვილი როდი იქნება და ამ გზას სწრაფად ვერ გავიცლით“.

ძალიან ბევრნი ამერიკაში, ნათქვამია პრეზიდენტის მოხსენებაში, „კვლავ ვერ გრძნობენ აუვავების ნაყოფს დისკრიმინაციის, ავადმყოფობის, შრომის უუნარობის, ხანდაზმულობის, ოჯახურ გარემოებათა შედეგად, უმუშევრობის ან დაბალი შრომის ნაყოფიერების შედეგად, იმის გამო, რომ უნარი არ შესწევთ გამოიცვალონ საცხოვრებელი ადგილი და ეძებონ სამუშაო ან არა აქვთ უნარი მიაღწიონ დაჭრავების ხელსაყრელ პირობებს განათლებისა და კვალიფიკაციის უქონლობის გამო“.

## თ ა ვ ს ი ფ ლ ე ვ ე ნ ე ბ ი

**თურქეთის** პრესა იუწყება, რომ ამერიკის ატომური სავაჭრო გემის „სავანას“ ვიზიტი სტამბოლის ნავსადგურში, რომელიც გათვალისწინებული იყო ამა წლის თებერვლის პირველ კვირაში, გადაიდო გაურკვეველი პერიოდით, როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ეს გამოწვეულია იმით, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვეს დათანხმებულიყვნენ სტამბოლის ნავსადგურის დაზღვევის პირობებზე ატომური გემის რაიმე ავარიის შემთხვევაში.

# ბ რ ძ ო ლ ა გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა მ დ ე

**კაირო**, 28 იანვარი. (საკდესი). „კონგოს რევოლუცია სახალხო რევოლუციაა. კონგოელნი ხალხმა ხელი მოჰკიდა იარაღს სამშობლოს განთავისუფლების მიზნით“, — განაცხადა კონგოელ აჯანყებულთა ერთერთმა ლიდერმა კრისტოფ გბენიემ მენის საგაზეთოსთვის მიცემულ ინტერვიუში. გბენიე და მასთან ერთად არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოსული ცნობილი კონგოელი პოლიტიკური მოღვაწე ტომას კანზა გუშინ მიიღეს პრეზიდენტმა ნასერმა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ალი საბრიმ.

კონგოელ აჯანყებულებს, ხაზი გაუსვა გბენიემ მენის საგაზეთოსათვის მიცემულ ინტერვიუში, შეუძლებლად მიაჩნიათ თანამშრომლობა კასავუბუსთან, ჩომბესა და ადოულასთან, რომლებსაც ხელი ურევიათ პატრის ლუმუმბას მკვლელობაში.

მთელი სამი თვის განმავლობაში, რაც ადოულას პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა, იგი უარს ამბობდა „გაეშუქებინა ლუმუმბას მკვლელობის დაწვრილებითი ამბები. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ადოულა ამ დანაშაულის თანამონაწილე იყო, რომ მას ეკისრება პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის. ჩვენ, ხაზი გაუსვა გბენიემ, უარს ვამბობთ მოლაპარაკებაზე დამნაშავეებთან და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ვიბრძოლოთ, სანამ არ მოვსპობთ ახლანდელ პროიმპერიალისტურ რეჟიმს კონგოში.

## გ ა ი ფ ი ც ნ ე ნ კ ო ს მ ო ს ო დ რ ო მ თ ა მ უ შ ე ბ ი

**ნიუ-იორკი**, 28 იანვარი. (საკდესი). კენედის კონცხისა და მერიტის კუნძულის მთვარეზე გასაშვები რაკეტების კოსმოდრომთა ორი ათასზე მეტი მშენებელი მუშა არ გამოსულა დღეს სამუშაოდ იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ უსამართლოა შრომის ანაზღაურების სისტემა. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული ხელმძღვანელობის პროექტების თანახმად, კენედის კონცხის ერთ-ერთ უბანსა და მერიტის კუნძულზე შენდება სპეციალური დანადგარები „სატურნ-უ“ და „სატურნ-1ვ“ ტიპის რაკეტების მთვარეზე გასაშვებად.

◆

## მ ი ფ რ ი ნ ა ვ ს „მ ა რ ი ნ ე რ - IV“

**ვაშინგტონი**, 28 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ დღეს გამოაცხადა, რომ ორი თვის წინათ მარსისაკენ გაშვებულმა ამერიკულმა კოსმოსურმა ხომალდმა „მარინერ-IV“-მა, გაიარა მანძილი დედამიწიდან — 1.874 ათასი მილი. ხომალდი ამჟამად მოძრაობს საათში 12.291 მილის სიჩქარით. „მარინერ-IV“ მარსს დაუახლოვდება ივლისის შუა რიცხვებში.

◆

## ი ს ე ვ მ ა რ ს ხ ლ ი

**ნიუ-იორკი**, 28 იანვარი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა კენედის კონცხზე სცადეს გაეშვათ საზომი აპარატურით აღჭურვილი რაკეტა 24 ათას მილზე მეტ სიმაღლეზე, რათა გამოეკვლიათ დედამიწის მაგნიტური ველი. გაშვება, რომლისთვისაც გამოყენებული იყო რაკეტა „ბლუ სკაუტ-ჯუნიორი“, მარცხით დამთავრდა. მალე სტარტის შემდეგ რაკეტის მეორე, შემდეგ მეოთხე საფეხურიც მოშალა და რაკეტა ჩავარდა ატლანტის ოკეანეში ამაღლების კუნძულის სამხრეთით.

ეს „ბლუ სკაუტის“ ტიპის რაკეტის გაშვების მეორე მარცხია; პირველი მარცხი გასული წლის მარტში აგრეთვე რაკეტის მეოთხე საფეხურის მოშლამ გამოიწვია.



# ა ი ლ ო ფ ტ ს ა ბ ა ნ ი ს ა

• ს ტ ი ვ ე ნ ლ ი კ ო კ ი, კ ა ნ ა დ ე ლ ი მ წ ე რ ა ლ ი •

△ **ფრაგმენტები ჩვენი ქვირფასი, დიდად პატივცემული, სათაყვანებელი და ასე შემდეგ მისტერ ჰაილოფტის ბიოგრაფიიდან** △

— არ მოიძებნება, სერ, თქვენთან რაიმე სამუშაო ჩემთვის?

შეფმა ბორბოტად გადახედა მთხოვნელს და ქვები დაუშინა. ჰაილოფტმა მოკურცხლა და მოშორებით პოლიციელის საგუშაგოსთან შეჩერდა.

— სერ, — დაიწყო მან, — მიყავით სიკეთე და მითხარით, როგორ უნდა ვიშოვნო სამუშაო... მაგრამ პოლიციელმა სიტყვა არ დაამთავრებინა, ხელკეტი მოუქნია და დაუცხინა:

— იდიოტო! შეკითხვებს ნუ იძლევი, შე მაწანწალა!

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ჰაილოფტმა გზა განაგრძო... ჰო, იგი იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ ოცნებობდა სამუშაო ემოვნა ამ მიუკარებელ, სასტიკ და ულმობელ ნიუ-იორკში!

მთელი მეორე დღე და მთელი შემდეგი კვირა და კიდევ შემდეგი ორი კვირა დაკარგა ჰაილოფტმა სამუშაოს ამაო ძებნაში. რამდენჯერმე ბედმა გაუღიმა ჰაილოფტს. — ზოგჯერ იშოვნიდა ხოლმე დროებითს სამუშაოს, მაგრამ ისევ მალევე კარგავდა. იგი ერთი კანტორიდან იმიტომ გაგდეს, რომ არ მოისურვა კლიენტებისათვის სიცრუე ეთქვა, მეორიდან იმიტომ, რომ ქურდობა არ ინდომა, ხოლო მესამიდან იმისათვის, რომ ქრთამის აღებაზე უარი თქვა.., და ჰაილოფტი კვლავ იწყებდა ხეტიალს თავშესაფარისა და ლუკმაპურის საშოვნელად.

ერთ საღამოს ჰაილოფტი მიდიოდა ქალაქის პარკის ბნელ ხეივანში.

— მე უკვე ვცადე ყოველგვარი პატიოსნური გზა და ხერხი, — თქვა ჰაილოფტმა, — ისინი არაფრის მაქნისი არ არიან! ახლა საქმეს სულ სხვაგვარად შევატრიალებ...

სწორედ იმ წამს გვერდით კარგად ჩაცმულმა მამაკაცმა ჩაუარა. ჰაილოფტი ეცა მას და ყელში წაუჭირა... რამდენიმე წამში ჰაილოფტის ხელში ნაზად აშრიალდნენ დოლარიანი ასიგნაციები

— მე უკვე ვიცი, თუ როგორ უნდა მოვიქცე შემდეგისათვის! — ჩაიბურდღუნა ჰაილოფტმა და ქუჩას გაუყვა. ჰაილოფტი იმ მაღაზიასთან შეჩერდა, სადაც ბავშვებისათვის საახალწლო საჩუქრები იყიდებოდა.

— მიჩვენეთ რევოლვერი, — სთხოვა ჰაილოფტმა გამყიდველს.

— რომელს ინებებთ? — დაფაცურდა გამყიდველი, — ოფიციალური ვიზიტებისათვის, თუ შინ სამშარად? გვაქვს საუკეთესო ხარისხის საოჯახო რევოლვერები.

— ბოლოში... კიბესთან... დიდი კარია... იქ იმყოფება დირექტორი.... — წაიბურდღუნა კარისკაცმა.

მოხუცი საწერ მაგიდას უჯდა და რაღაც აქციებს არჩევდა.

— თქვენ ვინა ხართ? — ჰკითხა ჰაილოფტმა, — რა საქმიანობას ეწევით?

— მე დირექტორი ვარ, — მიუგო მოხუცმა, — და ვხელმძღვანელობ ორგანიზაციას, რომელიც ეხმარება ფუშევრებს, შემწეობას აძლევს ბაჭირვებულებს, ხელს უწვდის არაფრის მქონეთ... უფრო სწორად, ჩვენ ახლა ვაყალიბებთ ამ ორგანიზაციას, მაგრამ მალე ის დიდად გაითქვამს სახელს.

— გასაგებია! — უთხრა ჰაილოფტმა, — თქვენგან არავითარი ხერი არ იქნება. თუმცა გაზეთებმა მთელ მსოფლიოს მოჰფინეს ამბავი იმის შესახებ, რომ თქვენი ორგანიზაცია ამ ქვეყნად ჰქმნის მუშებისათვის სამოთხესა და კიდევ ბევრ სხვა რამეს... უმჯობესია თქვენ ახლავე მოკვდეთ, ვიდრე შემდეგ უმუშევრები მოატყუოთ! პირი გააღეთ და თვალები დახუჭეთ! გამოშივიდა ეხეკ ფილანთროპი!..

ხუთი გასროლა, და ყველაფერი დამთავრდა. მოხუცის საათმა, ფუოლმა და კიდევ სხვა რაღაც ფასეულობამ ჰაილოფტის ჯიბეში გადანაცვლა.

კიბეზე მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა.

— პოლიცია! — მიხვდა ჰაილოფტი და კარებში ოცი ტყვია მიუშვა. მეორნი ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია სახლისათვის ცეცხლის წაკიდება და საერთო პანიკის საფარქვეშ მიმალვა!

ყოველი შემთხვევისათვის ყველა ტყვია გაისროლა, და დარწმუნებულმა იმაში, რომ ბიბლიოთეკასა და სურათებს კარგად მოედო ცეცხლი, ჰაილოფტმა გულზე ხელები დაიკრიფა და პოლიციელებს ლოდინი დაუწყო.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ! — ხელი აუღო პოლიციის კომისარმა, — ბრალი გედებათ მკვლელობაში, გაძარცვასა და ხანძრის გაჩენაში!

ჰაილოფტი მალავგაყრილი გამოიყვანეს ქუჩაში ცეცხლმოდებული სახლიდან, ჩასვეს ჩინებულ ლიმუზინში და ცენტრალურ საპატიმროში წაიყვანეს. გზაში პოლიციის კომისარმა რამდენჯერმე ათხოვა ჰაილოფტს ვისკის მათარა, უმასპინძლდებოდა სიგარეტით და, ცხადია, არც მეგობრულ საუბარს აკლებდა.

ჰაილოფტი მიხვდა, რომ მის წინაშე ახალი პორნოზონტები გადაიშალა. ის განგსტერი გახდა და, რა თქმა უნდა, ამერიკული საზოგადოების საპატიო წევრი...

...ციხეში კომისარმა ჰაილოფტი საკნამდე მიაცილა.

— მომიტევეთ, — უთხრა კომისარმა,— მაგრამ ჯერჯერობით არა მაქვს თქვენთვის ამაზე უკეთესი ბინის გამოყოფის საშუალება. ხვალ გადაგიყვანთ საკან-ლუქსში, რომელსაც აბაზანა აქვს, ზღვას გადაპყურებს და კიდევ სხვა კეთილმოწყობილობაც გააჩნია. დღეს ღამის გათევა ამ ოროთახიან საკანში მოგიხდებათ. ჰო, მართლა, საუზმეს სად ინებებთ? საწოლში თუ ჩვენთან მობრძანდებით, ოფიცერთა სასადილოში? ჩემი ოფიცრები დიდად კმაყოფილი დარჩებიან, თუ თქვენ მათთან გაცნობას იკადრებთ...

მერე დაიწყო მედარბაზეთა შემოსვლა. ჰაილოფტი მათ ახალ საკანში იღებდა.

— თქვენი გუშინდელი საგმირო საქმე, — უთხრა სახელმწიფოს ყველაზე მსხვილი გაზეთის გამომცემელმა, — უკვე ცნობილი გახდა შტატების ყველა ქალაქში! თქვენ დამტკიცეთ, რომ ხალხი ყოველგვარი საქველმოქმედო ღონისძიებისა და ორგანიზაციისა! ეს ძალიან სასარგებლო საქციელია! ხოლო ის გარემოება, რომ თქვენ კარისაკაციც კი მიაკალით, მხოლოდ თქვენს ნერვულ აღტყინებას ადასტურებს და სასამართლოსათვის ბრალდების შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება. ჩემი იურისტები თქვენ უფასოდ დაგიცავენ, რომ სხვებიც არ დაეჭვიონ უმუშევრებისა და მაწანწალების დამხმარე ორგანიზაციების შექმნაში. ხომ სწორია, მისტერ ჰაილოფტ?

...სასამართლოს სხდომას ქვეყნის „რჩეული საზოგადოება“ ესწრებოდა.

— მისტერ ჰაილოფტ! — უთხრა მოსამართლემ, — გადავწყვიტე რამდენიმე ხნით გადავდო თქვენი საქმე. როგორც ვიცი, თქვენ სროლასა და ხანძართან დაკავშირებით განიცადეთ ძლიერი ნერვული შეფყვეა, რასაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა არ ემოქმედა თქვენს სულიერ განწყობილებაზე. თქვენმა მეგობრებმა განაცხადეს, რომ ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც თქვენ იმყოფებით, არ შეგიძლიათ ჩასწვდეთ პროცესის არსს იმდენად, რამდენადაც ეს სასურველია... თქვენ კარგად უნდა დაისვენოთ!

რამდენიმე კვირის შემდეგ დაიწყო საქმის მოსმენა. სხდომებმა ორ თვეს გასტანა. ჰაილოფტს ხუთი ბრალდება ჰქონდა წაყენებული: ხანძრის გაჩენა, უკულტურო საქციელი (კარისაკაცის მკვლელობა მხედველობაში მისაღები არ არის, რადგან ბემშარიტ ჯენტლმენი მსახურს არასოდეს თავს არ გაუყადრებს), ძარცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და მკვლელობა.

## ი უ მ ო რ ი ს ტ უ ლ ი მ ო თ ხ რ ო ბ ა

— თქვენი ბრალდებულნი ხართ! — ბრალი დასდო ბრალმდებელმა, — ეს ბრალდებანი ეკუთვნიან ბატონ ჰაილოფტს



# სიმღერის ფრთები

## ასე აფასებს იტალიისა და იუგოსლავიის პრესა ზ. ანჯაფარიძის ვოკალურ ხელოვნებას

**როგორც** ცნობილია, 1964 წლის ბოლოს, პირველად საოპერო ხელოვნების ისტორიაში, მოხდა გასტროლების გაცვლა მსოფლიოს საუკეთესო საოპერო თეატრებს — სსრ კავშირის დიდ თეატრსა და იტალიის განთქმულ საოპერო თეატრს — მილანის „ლა სკალას“ შორის.

**ზურაბ ანჯაფარიძე** იქ ასრულებდა გერმანის პარტიას პ. ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალში“. იტალიურმა პრესამ ასახა დიდი წარმატება, რაც წილად ხვდა ამ მსახიობს.

იტალიაში გასტროლების შემდეგ ზ. ანჯაფარიძე მიწვეულ იქნა იუგოსლავიაში, სადაც გამოდიოდა დედაქალაქ ბელგრადის თეატრში.

მსახიობი დღეს გასტროლებს იწყებს თბილისში. მისი მონაწილეობით დაიდგმება ოპერები „პიკის ქალი“, „ტოსკა“, „აიდა“, „კარმენი“.

თბილისში გასტროლების შემდეგ ზ. ანჯაფარიძე მიემგზავრება პარიზში რამდენიმე გასტროლზე განთქმულ თეატრ „გრანდ-ოპერაში“.

ქვემოთ მოგვყავს ამონაწერები იტალიის და იუგოსლავიის გაზეთებში მოთავსებული რეცენზიებიდან.

◇ ◇ ◇

ზ. ანჯაფარიძე — გერმანი („პიკის ქალი“)

„**კარგი** დადგმაა, რომელშიც ყველა შემსრულებელი გამოირჩევა. მთავარი გმირის პარტიას ასრულებს ზურაბ ანჯაფარიძე, ფართო შესაძლებლობათა ტენორი, საამედო და მტკიცე, გარდა ამისა, დამაჯერებელი მსახიობი“...

„ლომბარდიის უწყებები“.

„**მომღერალთა** შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დუეტი: ტენორი ზურაბ ანჯაფარიძე — ჩინებული გერმანი როგორც ვოკალურად, ისე სცენურად, და სოპრანო გალინა ვიშნევსკაია, ყველაზე ცნობილი საბჭოთა მომღერალი ქალი“...

„იტალია“.

„...**ტენორი** ანჯაფარიძე — გერმანი სოლიდური და საკმაოდ ვაჟკაცური ხმის პატრონი, კარგი მღერადობისა და მკაფიო დრამატული აქცენტის მომღერალია“.

„ნიჩ“.

„...**მაგრამ** კიდევ უფრო დიდი, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია, წარმატება ხვდა ტენორ ზურაბ ანჯაფარიძეს, რომელიც ნამდვილი აღმოჩენა იყო მილანის საზოგადოებისათვის. ეს არის ძლიერი, თანაბარი და წკრიალა ხმის პატრონი“.

„...**იმ** საღამოსაც შესრულება ყველა თვალსაზრისით უმაღლესი ხარისხისა იყო. უდავოდ სრული წარმატება ხვდა ყველა შემსრულებელს, რომ აღარაფერი ვთქვათ სპექტაკლის უმთავრეს შემქმნელებზე და პირველ რიგში ანჯაფარიძესა და ვიშნევსკაიაზე“.

„...**ვაკასიელ** ტენორ ანჯაფარიძეს სხვა სამყაროში გადავყავდით. რამდენადმე სრული, ბრიუნეტი, იგი მეცხრამეტე საუკუნის ტიპის მომღერალია. ვიშნევსკაიას და ანჯაფარიძეს ყველაზე მხურვალედ უკრავდა ტაშს მილანის საზოგადოება. მათ ხშირად მიესალმებოდნენ...“

„უნიტა“.

„**ზურაბ** ანჯაფარიძე როგორც გერმანი მგზნებარე მსახიობია. ფრაზის ბრწყინვალე გამომსახველობით, საამედობობითა და სიმტკიცით იგი ჩვენს საუკეთესო ტენორებს მოგვაგონებს“.

„ლიტერატურული ფურცელი“.

„**მკაფიო**, ძლიერმა ხმამ (გ. ვიშნევსკაია), დიდი მსახიობის თავისუფლებამ და ოსტატობამ მოუტანა მას სრული წარმატება, რომელიც მხოლოდ უმაღლესი კლასის მსახიობების ხვედრია. მაგრამ, შესაძლოა, კიდევ უფრო დიდი წარმატება ხვდა ტენორ ზურაბ ანჯაფარიძეს“...

„იტალია“.

„მილანის „ლა-სკალაში“ დიდ თეატრთან გასტროლების შემდეგ, სადაც დიდი წარმატებით ასრულებდა გერმანის პარტიას „პიკის ქალში“, დრამატულმა ტენორმა ზ. ანჯაფარიძემ გასტროლი გამართა ბელგრადის ოპერის სცენაზე კავარადოსის პარტიაში. ზურაბ ანჯაფარიძის სახით ჩვენ გავეცანით შესანიშნავ დრამატულ ტენორს.

**თუ** ვოკალურ და ტექნიკურ თვისებებს დავუმატებთ დეტალურად ფსიქოლოგიზებულ სახეს, მაშინ სრულ წარმოდგენას მივიღებთ ზურაბ ანჯაფარიძის დასაფასებელ საოპერო ოსტატობაზე...

ზურაბ ანჯაფარიძეს, რომელსაც მჭუხარე ტაშით შეხვდნენ, დიდი წარმატება ჰქონდა ბელგრადის საზოგადოებამი“.

„ექსპრეს ბელგრადი“.

„...**მას** (ზურაბ ანჯაფარიძეს) დიდი ვოკალური შესაძლებლობანი აქვს. შეუძლია ადვილად შეასრულოს ყველაზე რთული პარტიები. მღერის დაუძაბავად, შთაბეჭდილების მომხდენი სითამამით. დონ-ხოზეს პარტია მან უნაკლოდ შეასრულა. გამომსახველობის თვალსაზრისით ზურაბ ანჯაფარიძე ცდილობს გააიგივეოს ურთიერთობა როლის ფსიქოლოგიურ-ემოციურ კომპონენტსა და ვოკალურ-შემსრულებლობის ექსპრესიას შორის. ამასთან, ესწრაფვის რამეტ სიმტკიცეს, იგი აძლიერებს დრამატულ-პათეტიკურ ელემენტებს და შესრულების გარეგნულ დინამიზმს.

...ზურაბ ანჯაფარიძემ მაღალ მხატვრულ სრულყოფას მიაღწია და შეძლო ძალიან პლასტიკურად გამოეხატა პარტიის მუსიკალური თვისებები“.

„ვიესნიკ ზაგრები“.

# გაცოცხლებული საუკუნეები

## გ. ასათიანის ახალი ფილმები

**ორი** ახალი კინოსურათი, რომლებიც შექმნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, თბილისის ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელმა — ოპერატორმა და რეჟისორმა **გ. ასათიანმა**, მიღებულია საკავშირო ეკრანზე (აქვე უნდა ითქვას, რომ იგი ამ ფილმების სცენარების ავტორიც არის).

ორივე სურათი გადაღებულია საზღვარგარეთ მისი უკანასკნელი მოგზაურობის დროს. ერთი მათგანია **„შეხვედრა საბერძნეთთან“** — სრულმეტრაჟიანი ფერადი დოკუმენტური სუოათი საბერძნეთის ბუნებასა და ხალხზე, ამ ქვეყანაში მომხდარ უკანასკნელ პოლიტიკურ ამბებზე. ფილმში ნაჩვენებია აგრეთვე ელადის ძველი ძეგლები, ისეთები, როგორიც არის აკროპოლი, სუნიონი, კორინთი, პარნასი, ეპიდავროსი და სხვები. ამ ფილმში ასახულია ბერძენთა ცივილიზაცია, გადაღებულია ანტიკური ხელოვნების მუზეუმი.

სურათის ავტორმა და შემქმნელმა დიდი ყურადღება დაუთმო ბერძენი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებას, მის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, ხატოდან საბერძნეთის გამოსვლისათვის. მაყურებლები იხილავენ უდიდეს დემონსტრაციას — ეგრეთწოდებულ „მარათონულ სვლას“ (ეს ქვეითი ლაშქრობაა, რაც უკვე 44 წელია ეწყობა), რომელიც პოლიტიკური დემონსტრაცია გახდა.

რუსულ ენაზე ფილმი მოსკოვში გაახმოვანა ცნობილმა მსახიობმა **ლ. ხმარამ**. ფილმისათვის მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა **დ. თორაძემ**.

მეორე სურათია **„საუკუნეთა ბურუსში“**. ეს არის მოკლემეტრაჟიანი ფერადი მეცნიერულ-პოპულარულ ფილმი საზღვარგარეთ არსებულ ძველ ქართულ ძეგლებზე. ფილმის მასალები გადაღებულია ძირითადად ქალაქ ედინბურის ხანგრძლივ ბიბლიოთეკაში. ფილმის ავტორია კომპოზიტორი **დ. თორაძე**. სურათი „საუკუნეთა ბურუსში“, ისევე როგორც „შეხვედრა საბერძნეთთან“, მალე გამოვა ჩვენი ქვეყნის ეკრანებზე.

**ს. რიჟინაშვილი.**

მოსკოვი.



ერთგული ფოთოლი.

ფოტოეტიუდი ს. მამასახლისისა.

# რეჟისორის დებიუტი

## ვ. მონასხოვმა დადგა ფილმი „დაუპატიჟებელი სიყვარული“

ერთ-ერთმა წამყვანმა საბჭოთა კინოოპერატორმა ლენინური პრემიის ლაურეატმა ვლადიმერ მონასხოვმა თავი ისახელა, როგორც ნიჭიერმა რეჟისორმა. „მოსფილმის“ სტუდიაში მიხეილ შოლოხოვის მოთხრობის „სხვისი სისხლის“ მიხედვით მან ახლახან დაამთავრა ფილმი „დაუპატიჟებელი სიყვარული“.

სარეჟისორო დებიუტისათვის მონასხოვმა აირჩია შოლოხოვის პროზის ათი გვერდი, ისეთი მოცულობის გვერდები, რომ მათი შინაარსი სავსებით ეყოფოდა რომანს. დონელი კაზაკი, რომელმაც ერთადერთი შვილი დაკარგა, რომელიც თეთრების მხარეზე იბრძოდა, არ თანაუგრძნობს საბჭოთა ხელისუფლებას. მოხდა ისე, რომ მის თვალწინ დახვრიტეს სასურსათო რაზმი, რომელიც სტანიცაში იყო დაბინავებული. ადამიანური გრძნობა იმარჯვებს, მოხუცმა შინ წაიყვანა გადარჩენილი ნახევრად გაყინული მეთაური სასურსათო რაზმისა და დიდხანს უვლიდა მას. კაზაკმა გაბრიელმა და მისმა ცოლმა შეიყვარეს 19 წლის კომუნისტი, როგორც ღვიძლი შვილი, რომელიც წითელი კავალერისტის ხმლით დაიღუპა...

რეჟისორმა შეძლო შეექმნა მოთხრობის კინემატოგრაფიული ეკვივალენტი — იმდენად ემთხვევა მწერლისა და რეჟისორის მანერა.

ამ ფილმის სრულუფლებიან ავტორთა შორისაა კაზაკ გაბრიელის როლის შემსრულებელი მსახიობი ივანე ლაპიკოვი, რომელმაც სულ ახლახან შეასრულა სიმონ ტრუბნიკოვის როლი ფილმში „თავმჯდომარე“.

**მოსკოვი, 27 იანვარი.**

# ... ინფორმაციები

## კოლმეურნეები კურორტებზე

**წალენჯიხა.** (საკ. კორ.). წალენჯიხის რაიონში მძლავრი სასოფლო-სამეურნეო არტელია სოფელ ობუჯის კოლმეურნეობა. ობუჯელ კოლმეურნეებს შრომაც უყვართ და დასვენებაც. შარშან 21 კოლმეურნემ დაისვენა ჩვენი რესპუბლიკის კურორტებზე. კოლმეურნე კოსტა მებონიამ მახინჯაურში დაისვენა. არსენ მებონიამ — —ციხისძირში. მესამიდე ჯეუბე კაკაჩია ლესელიძეში ისვენებდა.

ახალგაზრდა მეჩაიეებისათვის მოეწყო ექსკურსია სოჭში, გაგრაში, ახალ ათონში, რიწაზე და სოხუმში.

კოლმეურნეობის გმგეობას გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წლის ზაფხულში 30 კოლმეურნე გაგზავნოს დასასვენებლად რესპუბლიკის საუკეთესო კურორტებზე.

◆

## ქარგი თაოსნობა

**ზესტაფონი.** (საკ. კორ.). ძირულის საშუალო სკოლის გოგონებმა და ბაბუკებმა აბრეშუმის პარკის გამოსაყვანად ფარდული აგეს, აბრეშუმის მური გამოკვებეს და შარშან ნახევარ ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი პარკი მიჰყიდეს სახელმწიფოს. მუყაითი შრომით თანასოფლელთა სიყვარული დაიმსახურეს მოსწავლეებმა იზა, დალი, აზა, ჯამბულ გვანცაძეებმა, ნუნუ, ტარიელ, ამირან მაღლაკელიძეებმა, ლილი კალანდაძემ, თამაზ გელაშვილმა და სხვებმა.

მოსწავლეებმა აბრეშუმის პარკიდან მიღებული თანხით სკოლისათვის პიანინო შეიძინეს.

◆

## ღამის სანატორიუმი

**ჟუთაისი.** (საკ. კორ.). ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა ამ დღეებში კიდევ ერთი სიხარული განიცადა — საბჭოს ჟუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ქიმიკოსთა ღამის სანატორიუმი.

სანატორიუმს, რომელიც ერთდროულად 25 კაცს გაუწევს მომსახურებას, კეთილმოწყობილი სამკურნალო კაბინეტები აქვს.

◆

## ტიმოთე გაბაშვილის ხსოვნა

**ამ** დღეებში გაიმართა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა მე-18 საუკუნის მოგზაურისა და მკვლევარის ტიმოთე გაბაშვილის გარდაცვალების 200 წლისთავს.

ერეკლე მეფის საგანგებო დავალებით ტ. გაბაშვილმა ოთხი წლის განმავლობაში იმოგზაურა მცირე აზიაში, პალესტინაში, ათონსა და სტამბოლში, რაც დაწერილებით აღწერა თავის „მიმოსვლაში“, გაბაშვილის წიგნი ამას წინათ გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“.

სხდომაზე მოხსენება ტ. გაბაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ელენე მეტრეველმა. მოხსენება — ტ. გაბაშვილი გეოგრაფი და კარტოგრაფი — გააკეთა გეოგრაფიული მეცნიერების კანდიდატმა გრ. ზარდალიშვილმა. პალესტინისა და ათონის სურათები და ხედები, რომლებიც ინახულა ტ. გაბაშვილმა, სხდომის მონაწილეებს წარმოუდგინა და განმარტა ეო. ლუკაშევიჩმა.

# ... ... ... ...

## ... ... ...